ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 0502/736

ქ.თბილისი 08.05.2015 წელი

ერთის მხრივ ქ. თელავის მუნიციპალიტეტი, წარმომადგენელის ქ. თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ლევან ლილუაშვილის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი"), მეორეს მხრივ სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი" (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმომადგენელის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლელა ცერცვაძის სახით ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, გამარტივებული შესყიდვის გამოყენებით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია მომსახურების (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა.
1.2 მომსახურების შესყიდვა გულისხმობს ქ. თელავის საკრებულოსა და მერიის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებზე თანამედროვე სტანდარტებისა და სანდოობის ხარისხის კონტროლის მექანიზმების შესაბამისი ტესტირების ორგანიზებას, (№CPV-79600000)
1.3 ტესტირება უტარდება, განაცხადების გადარჩევის შედეგად, მეორე ეტაპზე გადასულ 153 კონკურსანტს, რომელთა რეზიუმე შეესაბამებოდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
1.4 შესყიდვის საშუალება: <u>გამარტივებული შესყიდვა.</u>

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1 ერთი კონკურსანტის ტესტირების ღირებულება შეადგენს 10 (ათი) ლარს.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს (1530 ათას ხუთას ოცდაათი) ლარს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადების გათვალისწინებით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2015 წლის 10-11 მაისს. ტესტის ხანგრძლივობა 2 (ორი) საათი, 5 (ხუთ) ნაკადად.
3.2. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ტესტირების შედეგების მიწოდება 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, არაუგვიანეს 2015 წლის 13 მაისისა.
3.3. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ.თბილისი სანდრო ეულის N3, სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი".

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მომსახურების გაწევისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით და ბეჭდით დამოწმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, ---------- 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან.
5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტი აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგაარიშფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
<u>6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:</u>
6.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება;
6.2.2. უზრუნველყოს ტესტირებაზე დამკვირვებლის სტატუსით არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაცია" წარმომადგენლის მაკა ლატარიას დასწრება.
6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს 10%-ისა.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 13 მაისის ჩათვლით.

12. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების

მიმწოდებელი	*შემსყიდველი*
	ქ. თელავის მუნიციპალიტეტი სსმ (231290698)
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში;	
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა;	
ბანკის კოდი - TRESGE22;	
მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი 707997153	
მიმღები ორგანიზაცია: სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი	
საიდენტიფიკაციო კოდი: 204422334	
დირექტორის დროებით მოვ.	ქ.თელავის მუნიციპალიტეტის მერის
ლელა ცერცვაძე	მოადგილე ლევან ლილუაშვილი